# მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალური ბიულეტენი

# OFFICIAL BULLETIN FOR THE PROTECTION OF NEW VARIETIES OF PLANTS AND BREEDS OF ANIMALS

2(55)

გამოქვეყნების თარიღი
**DATE OF PUBLICATION**
2018 11 20

ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის შესახებ მონაცემების ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 3 თვის განმავლობაში ნებისმიერ პირს აქვს უფლება საქპატენტს წარუდგინოს წერილობითი შედავება: თუ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიში არ აკმაყოფილებს დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებს; თუ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობა არ არის საკმარისი ამ ჯიშის შესაფასებლად; თუ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობაში შეტანილია ყალბი მონაცემები; თუ განაცხადში აღწერილ ცხოველის ან მცენარის ახალ ჯიშზე პრიორიტეტის მოთხოვნა სხვა ქვეყანაში ცხოველის ან მცენარის ამ ჯიშზე წარდგენილი განაცხადის მიხედვით საფუძველსაა მოკლებული.

Any person shall be authorized to present to Sakpatenti a written objection within 3 months from the date of publication the new breeds of animals or new varieties of plants data in the official bulletin: in case if the new breed of animal or new variety of plant does not meet the requirements of the criteria of protectability; if description of the new breeds of animals or new varieties of plants does not convey the complete impression for evaluation of the new breeds of animals or new varieties of plants; if the data given in the application are false; if the priority claimed for the new breeds of animals or new varieties of plants described in the application based on the application filed in other country is groundless.

## განაცხადის ტიპის ასოითი აღნიშვნა
## LETTER INDICATION FOR APPLICATION TYPE

P – მცენარის ახალი ჯიშის განაცხადის აღნიშვნა (Plant)
P – Indication of applications for new plant varieties (Plant)

(10) P 0000 000 A მცენარის ახალი ჯიშის გამოქვეყნების ნომერი (I პუბლიკაცია)
Number of published application for new plant varieties (I publication)

(11) P 0000 000 B მცენარის ახალი ჯიშის მოწმობის ნომერი (II პუბლიკაცია)
Number of Certificate for new plant varieties (II publication)

(21) P 0000 000000 მცენარის ახალი ჯიშის განაცხადის ნომერი
Number of application for new plant varieties

A – ცხოველის ახალი ჯიშის განაცხადის აღნიშვნა (Animal)
A – Indication of applications for animal breeds (Animal)

(10) A 0000 000 A ცხოველის ახალი ჯიშის გამოქვეყნების ნომერი (I პუბლიკაცია)
Number of published application for new animal breeds (I publication)

(11) A 0000 000 B ცხოველის ახალი ჯიშის მოწმობის ნომერი (II პუბლიკაცია)
Number of Certificate for new animal breeds (II publication)

(21) A 0000 000000 ცხოველის ახალი ჯიშის განაცხადის ნომერი
Number of application for new animal breeds

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## მცენარეთა ახალი ჯიშის განაცხადი

მოცვი „ZF08-070“…… 4

## რეგისტრირებული მცენარის ახალი ჯიში

ჟოლო „საფირი“…… 22

# C O N T E N T S

## APPLICATION OF NEW PLANT VARIETY

BLUEBERRY „ZF08-070“…… 4

## REGISTERED NEW PLANT VARIETY

RASPBERRY „SAPPHIRE“…….. 22

# მცენარეთა ახალი ჯიშის განაცხადი

| | |
|---|---|
| **ჯიშის კატეგორია:** | მცენარე |
| **განაცხადის გამოქვეყნების ნომერი:** | P 2018 241 A |
| **პირველი გამოქვეყნების თარიღი:** | 2018 11 20 №2 |
| **განაცხადის ნომერი:** | P 2018 241 |
| **განაცხადის წარდგენის თარიღი:** | 2018 07 31 |

**განმცხადებელი:**
ფოლ კრიკ ფარმ & ნურსერი, ინკ.
39318 ჯასპერ ლოველ რდ, ლოველ, 97452 ორეგონი (US)

**პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:**
ადამ ლ. ვაგნერი (US)
დევიდ მ. ბრაზელტონი (US)
პეტერ სტეფან ბოხესი (US)
ანტონიო ა. ალამო ბერმუდო (ES)

**ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად  და ლათინურად:**
მოცვი / Vaccinium corymbosum L.

**ჯიშის დასახელება:** ZF08-070

**ჯიშის მოკლე დახასიათება:**
მოცვის ახალი კომერციული ჯიში „ZF08-070“ არის მრავალმხრივი დანიშნულების და იგი განკუთვნილია ნედლი და გადამუშავებული ხილის ბაზრებისათვის. იგი გამოვლინდა ჯიშების „ლეგასი“-ს (მდედრი მშობელი) და „დრეიფერი“ (მამრი მშობელი, აშშ-ს მცენარის პატენტი №15,103) შეჯვარებით. მოცვის ახალ ჯიშს აქვს შესანიშნავი სიმძლავრე, ვერტიკალური ზრდის ფორმა, ნაყოფს იძლევა შუა სეზონზე და ისხამს დიდი ზომის კენკრას ერთგვაროვანი ფორმით და ღია ცისფერი შეფერილობით. „ZF08-070“ შერჩეულ იქნა მისი ვერტიკალური ზრდის ფორმის, სტაბილური კენკრის ზომის, ყინვაგამძლეობისა და სიმძლავრის გამო.

# APPLICATION OF NEW PLANT VARIETY

| | |
|---|---|
| **CATEGORY OF THE APPLICATION:** | PLANT |
| **NUMBER OF PUBLICATION OF THE APPLICATION:** | P 2018 241 A |
| **DATE OF THE FIRST PUBLICATION:** | 2018 11 20 №2 |
| **NUMBER OF THE APPLICATION:** | P 2018 241 |
| **DATE OF FILING OF THE APPLICATION:** | 2018 07 31 |

**APPLICANT:**
Fall Creek Farm & Nursery, Inc.
39318 Jasper Lowell Rd, Lovell, OR 97452 (US)

**PERSON WHO BRED, OR DISCOVERED AND DEVELOPED THE VARIETY:**
Adam L. Wagner (US)
David M. Brazelton (US)
Peter Stefan Boches (US)
Antonio A. Alamo Bermudo (ES)

**COMMON NAME AND LATIN NAME OF THE GENUS AND SPECIES:**
Blueberry / Vaccinium corymbosum L.

**VARIETY DENOMINATION:** ZF08-070

**BRIEF DESCRIPTION OF THE VARIETY:**
The new blueberry plant variety "ZF08-070" is a multipurpose commercial variety intended for the fresh or processed fruit markets. The new blueberry plant variety originated from a cross of "Legacy"(female parent) by "Draper" (male parent, U.S. Plant Pat. №15,103) The variety has excellent plant vigor, an uprightm plant habit, ripens fruit wid-season, and produces a large berries with uniform size and light blue color. "ZF08-070" was selected for its upright habit, consistent berry size,cold hardiness and vigor.

# ჯიშის აღწერილობა

**I. ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:**
მოცვი / Vaccinium corymbosum L.

**II. განმცხადებელი:**
ფოლ კრიკ ფარმ & ნურსერი, ინკ.
39318 ჯასპერ ლოველ რდ, ლოველ, 97452 ორეგონი (US)

**პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:**
ადამ ლ. ვაგნერი (US)
დევიდ მ. ბრაზელტონი (US)
პეტერ სტეფან ბოხესი (US)
ანტონიო ა. ალამო ბერმუდო (US)

**III. ჯიშის დახასიათება:** ZF08-070

**IV. ინფორმაცია ჯიშის წარმოშობაზე, გამოყვანასა და გამრავლებაზე:**
მოცემული ჯიში ეხება ჩრდილოეთის მაღალი ბუჩქოვანი მოცვის (Vaccinium corymbosum L.) ახალი და განსხვავებული ჯიშის გამოვლენას, რომლის დასახელებაა „ZF08-070“, მოცემულ დოკუმენტში აღწერილის და ნაჩვენების მიხედვით. მოცვის ახალი ჯიში „ZF08-070“ არის მრავალმხრივი გამოყენების კომერციული ჯიში, რომელიც განკუთვნილია ნედლი ან დამუშავებული პროდუქტების ხილის ბაზრისათვის. ამ ჯიშს აქვს შესანიშნავი სიმძლავრე, ვერტიკალური აგებულება, ნაყოფს იძლევა შუა სეზონში და დიდი ზომის კენკრას იძლევა ერთგვაროვანი ზომებით და ღია ცისფერი შეფერილობით. „ZF08-070“ გამოყვანილ იქნა ვერტიკალური აგებულების, კენკრის თანაბარი ზომების, ყინვაგამძლეობის და სიმძლავრის გამო. კენკრის შუა სეზონის კულტურა ისტორიულად დომინირებდა წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში მუდმივად მაღალი ნაყოფის მოსავლიანობის გამო, თუმცა „Bluecrop“-ის ტერიტორიული არეალი თანდათანობით იცვლება უფრო ახალი კულტურებით, როგორიცაა „დრეიფერი“, რომლებსაც აქვს უკეთესი ნაყოფის ხარისხი. „დრეიფერი“ იძლევა ნაყოფს, რომელიც უფრო მაგარია ვიდრე „Bluecrop“-ს და აქვს უფრო თანაბარი შეფერილობა. თუმცა „დრეიფერი“-ს ჯიშები არ არის ისე მძლავრი, დაავადებების მიმართ ამტანი ან შეგუებადი ცივი კლიმატების მიმართ და მყარი ნიადაგების მიმართ როგორც „Bluecrop“. ამგვარად, წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთში და სხვა ჩრდილოეთის მაღალი ბუჩქოვანი მოცვის მოყვანის რეგიონებში არსებობს ისეთი ჯიშის საჭიროება, რომელიც უფრო უკეთეს ნაყოფის ხარისხს იძლევა ვიდრე „Bluecrop“ და ამავდროულად, უფრო მძლავრი და შეგუებადია ვიდრე „დრეიფერი“. „ZF08-

070“-ს აქვს ეს თვისებები და შეიძლება საინტერესო იყოს კომერციული კენკრის ინდუსტრიისათვის წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთში და სხვა კენკრის რეგიონებში სადაც ჩრდილოეთის მაღალმუჩქიანი კენკრა იზრდება.

## ჯიშის მოკლე აღწერილობა

გენეალოგია და ისტორია: კენკრის ახალი ჯიში წარმოიშვა „Legacy“-ს (მდედრი) და „დრეიფერი“-ს (მამრი) შეჯვარების შედეგად (აშშ-ს მცენარის პატენტი 15,103). შეჯვარება, რომელმაც მოგვცა ჯიში „ZF08-070“ (აღნიშნული შეჯვარების კოდით „X04-044“) ჩატარდა ლოუელში, ორეგონი, აშშ, 2004 წელს.

მოცვის ახალი ჯიში „ZF08-070“ თავდაპირველად გამრავლებულ იქნა რბილი ხის ჭრით 2008 წელს. ამ ჭრიდან ფესვებიანი მცენარეები დარგულ იქნა ლოუელში, ორეგონი, აშშ 2009 წელს ცხრა მცენარის ფართობის დასაწესებლად შემდგომი დაკვირვების მიზნით. დამატებითი მცენარეები იქნა გამრავლებული რბილი ხის ჭრით ლოუელში, ორეგონი, დამატებითი ნარგავების დასაწესებლად ვაშინგტონში, ორეგონში და კალიფორნიაში, აშშ. ორეგონში დაწესებული მცენარეები წარმატებით იქნა გამოყენებული in vitro კულტურების დასაწესებლად 2011 წელს. In vitro კულტურებიდან მიღებული მცენარეები გამოყენებულ იქნა დამატებითი საკვლევი რგვისათვის დასაკვირვებლად და მოსავლიანობის მონაცემების შესაგროვებლად ვაშინგტონში და ორეგონში.

სათესი ოჯახი, რომელმაც მოგვცა „ZF08-070“ თავდაპირველად იზრდებოდა 50 უჯრედიან გასამრავლებელ სინებზე და საველე პირობებში იქნა დარგული 2005 წელს ფოლ კრიკის საკვლევ ფერმაში ლოუელში, ორეგონი. „ZF08-070“ შერჩეულ იქნა 2008 წელს, ვინაიდან მას ჰქონდა მაღალი მოსავლიანობა, სიმაგრე, ღია ცისფერი ფერი, დიდი ზომა და შენახვის კარგი ხარისხი. სათესიდან შერჩევის შემდეგ „ZF08-070“ გამრავლებულ იქნა რბილი ხის ჭრით და ცხრა მცენარის საცდელი ნაკვეთი იქნა დაფუძნებული ლოუელში, ორეგონი. ცხრავე საცდელი ნაკვეთი შეფასებულ იქნა მცენარის პროდუქტიულობაზე, ნაყოფის ხარისხზე და მოსავლიანობაზე სტანდარტულ ჯიშებთან „Draper“ და „Legacy“ შედარება დაიწყო 2011 წლის აპრილში. 2009 წლიდან დამატებითი დასაკვირვებელი ნაკვეთები დაფუძნდა კენკრის კომერციულ ველებზე ლინდენთან ახლოს, ვაშინგტონი, პატერსონი, ვაშინგტონი და სტოკტონი, კალიფორნია, აშშ და სეგოვია, ესპანეთი. დაფუძნდა, აგრეთვე, დამატებითი დასაკვირვებელი ნაკვეთები ქსოვილის კულტურიდან მიღებული მცენარეების გამოყენებით ვაშინგტონში და ორეგონში 2014 წელს. წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთში და კენკრის მოშენების რეგიონებში ინტენსიური შეფასების შემდეგ დადგინდა, რომ „ZF08-070“ არის სტაბილურად მძლავრი, ამტანი მყარი ნიადაგების მიმართ და ამტანი ზამთრის დამაზიანებელი ტემპერატურების მიმართ ან ჩრდილოეთის განედების

მიმართ ცუდი ადაპტაციით, რამაც გამოიწვია მოსავლიანობის დანაკარგები საცდელ ველებზე სხვა ჩრდილოეთის მაღალბუჩქიანი კულტურებისა და სელექციებისათვის.

კენკრის ახალი ჯიში „ZF08-070“ გამოირჩევა ვერტიკალური ზრდის ფორმით, შესანიშნავი სიმძლავრით, დიდი ზომის ფოთლებით, მოწითალო ახალი ხით, ცილინდრული ყვავილის გვირგვინით ფართო აპერტურით, მოწითალო მეწამული ან მოწითალო ყვითელი ფოთლის ფერით, დიდი ზომის ნაყოფით ღია ცისფერი შეფერილობით და სფეროიდული ან ოდნავ ბრტყელი ფორმით. ამ ახალი კულტურის შემდეგი ახალი მახასიათებლები იქნა აღმოჩენილი, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს „ZF08-070“-ის გამოსარჩევად როგორც უნიკალური Vaccinium corymbosum ჰიბრიდული ჯიშის:

1) ნაყოფი, რომელიც არის სფერული ან ოდნავ ელიფსური, ღია ცისფერი და თანაბრად დიდი ზომის;
2) მოწითალო ფერის ახალი ხე ერთი წლის ღეროებზე;
3) ყვავილის ახალი გვირგვინები, რომლებიც ჩვეულებისამებრ ცილინდრული ფორმისაა გვირგვინის ფართო აპერტურით;
4) შესანიშნავი სიმძლავრე მყარ ნიადაგებზეც კი;
5) ნაყოფის კვირტების და ვეგეტაციური კვირტების ბალანსირებული განაწილება ღეროებზე, რითაც მცენარე ხდება ადვილად დასაჭრელი და შეუძლია სტაბილურად თანაბრად დიდი ზომის ნაყოფის გამოღება;
6) დიდი ზომის ფოთლები მახვილი ბოლოთი და მეწამული, წითელი ან ყვითელი ფერით;
7) მცენარის ვერტიკალური ან აღმართული ზრდის ფორმა;
8) დიდი დიამეტრის ღეროები შედარებით ცოტა გვერდებით და შედარებით მცირე განტოტებით;
9) ნაყოფის მოშვებული კლასტერები მცენარის გარეთა მხარეს, რაც აადვილებს მოსავლის აღებას.

ჯიშები „ZF08-070“, რომლებიც გამრავლებულ იქნა რბილი ხის ჭრით ან in vitro არის ფენოტიპურად მდგრადი და ამჟღავნებს იმავე მახასიათებლებს რასაც თავდაპირველი ჯიში. ჯიშები „ZF08-070“ ფენოტიპურად განსხვავდება თავიანთი მშობლებისაგან „Legacy“ და „Draper“. „Legacy“ უფრო განტოტებულია და ნაკლებად ზეაღმართული თავისი ფორმით. მისი ფოთლები ოდნავ უფრო ვიწროა ვიდრე „ZF08-070“-ის. ისინი პროფილში უფრო ბრტყელია ვიდრე „ZF08-070“-ის. „ZF08-070“-ის ფოთლების უფრო ტალღისებურად მოძრავია და ქვემოთკენ ხვეულია ვიდრე „Legacy“-ის. „Legacy“-ის ჯიშები წარმოქმნიან აგრეთვე უფრო ნაკლებ კვირტებს ერთი წლის ღეროებზე ვიდრე „ZF08-070“-ის ჯიშები. „Draper“-თან შედარებით „ZF08-070“-ის ჯიშები უფრო

მძლავრია და მაღალია მომწიფებისას. მათ უამრავი ღერო აქვთ ვიდრე „ZF08-070“-ს და ამ ღეროების საშუალო დიამეტრი ნაკლებია „ZF08-070“-ის ღეროებზე. „Draper“-ის ნაყოფი უფრო ბრტყელია (შემჭიდროვებულია) ვიდრე „ZF08-070“-ის ნაყოფი. „Draper“-ის ფოთლებს აქვს აგრეთვე კიდე, რომელიც უფრო ტალღოვანია ვიდრე „ZF08-070“-ის ფოთლები.

## V. გამოსახულებების მოკლე აღწერილობა:

გამოსახულება 1 არის ახალი ჯიშის მცენარის ფოტო ფოთოლცვენის დროს, სადაც ნაჩვენებია ფოთლების ფერი და მცენარის ზრდის ფორმა. მცენარეები მოშენებულ იქნა ლოუელში, ორეგონი და ფოტოები გადაღებულ იქნა 2014 წლის 8 დეკემბერს.

გამოსახულება 2 არის ახალი ჯიშის ყვავილების ფოტო, რომელიც იზრდებოდა ლოუელში, ორეგონი და ფოტო გადაღებულ იქნა 2013 წლის 12 აპრილს.

გამოსახულება 3 არის ახალი ჯიშის ფოთლების ფოტო, რომელიც იზრდებოდა ლოუელში, ორეგონი და ფოტო გადაღებულ იქნა 2014 წლის 21 ნოემბერს.

გამოსახულება 4 არის ახალი ჯიშის ფოთლების ფერის ფოტო, რომელიც იზრდებოდა ლოუელში, ორეგონი და ფოტო გადაღებულ იქნა 2014 წლის 21 ნოემბერს.

გამოსახულება 5 არის ახალი ჯიშის ნაყოფის კლასტერის ფოტო, რომელიც იზრდებოდა ლოუელში, ორეგონი და ფოტო გადაღებულ იქნა 2013 წლის 17 ივლისს.

გამოსახულება 6 არის ახალი ჯიშის ნაყოფის ჯამის ფოტო, რომელიც იზრდებოდა ლოუელში, ორეგონი და ფოტო გადაღებულ იქნა 2013 წლის 1 აგვისტოს.

გამოსახულება 7 არის ახალი ჯიშის ნაყოფის ერთი წლის ღეროების ფოტო, რომელიც იზრდებოდა ლოუელში, ორეგონი და ფოტო გადაღებულ იქნა 2012 წლის 7 ნოემბერს.

გამოსახულება 8 არის ახალი ჯიშის ნაყოფის ფოტო.

## VI. ბოტანიკური აღწერილობა:

ქვემოთ დეტალურ აღწერილობაში განხილულია „ZF08-070“-ის გამორჩეული მახასიათებლები. მონაცემები, რომლებიც ამ მახასიათებლებს განსაზღვრავს შეგროვებულ იქნა თავდაპირველი სელექციის უსქესო რეპროდუქციით. ზომები, ფერები და სხვა მახასიათებლები წარმოადგენს მიახლოებით და გასაშუალოებულ პარამეტრებს, რომლებიც მოყვანილია მაქსიმალურად ზუსტად. მცენარის ისტორია დადგენილ იქნა დაახლოებით 4 წლის მცენარეებზე და აღწერილობები განეკუთვნება მცენარეებს, რომლებიც იზრდებოდა ველებში 39252 ჯასპერ-ლოუელ რდ, ლოუელი, ორეგონი. ნაყოფის მახასიათებლების აღწერილობა გაკეთდა მცენარეებზე, რომლებიც გაიზარდა 2013 წელს ზემოაღწერილ ველზე. ფერის აღნიშვნები

წარმოდგენილია „პანტონის ფერების წიგნი“-დან (ლეტრის აიზემანი და ლოურენს ჰერბერი, ჰენრი ნ. აბრამს, ინკ., ნიუ იორკი 1990). როდესაც პანტონის ფერითი აღნიშვნები განსხვავდება ფოტოებზე წარმოდგენილისაგან, პანტონის ფერები ზუსტად ითვლება.

## VII. ჯიშის ნიშან-თვისებები:

**ჯიში**

**კალასიფიკაცია:**

ა. ოჯახი - Ericaceae;

ბ. გვარი - Vaccinium;

გ. სახეობა - corymbosum;

დ. ზოგადი სახელწოდება - ჩრდილოეთის მაღალბუჩქიანი მოცვი.

**წარმომავლობა:**

ა. მდედრი ფორმა – „Legacy“ (არაპატენტირებული);

ბ. მამრი ფორმა – „Draper“ (აშშ-ს მცენარის პატენტი N 15,103).

ბაზრის კატეგორია: ახალი პროდუქტების ბაზარი ან სწრაფი გაყინვის კენკრა.

**მცენარე**

**ძირითადი:**

ა. წარმომავლობა – მდედრი ფორმა - „Legacy“ (არაპატენტირებული). მამრი ფორმა „Draper“ (აშშ-ს მცენარის პატენტი N 15,103);

ბ. მცენარის სიმაღლე – საშუალოდ 1 მეტრი;

გ. მცენარის სიგანე – საშუალოდ 1 მეტრი;

დ. ზრდის ფორმა – ვერტიკალური, მრგვალი;

ე. მცენარის სიმძლავრე – მძლავრი;

ვ. ნაყოფიერება – ლოუელში, ორეგონის შტატი: ორის წლის მცენარეებზე 1.12 ფუნტი მცენარეზე, თუ შევადარებთ ამავე ასაკის დრეიფერის მცენარეებს, რომლებმაც გამოიღო საშუალოდ 2.39 ფუნტი მცენარეზე. სამი წლის მცენარეებზე 4.25 ფუნტი მცენარეზე, თუ შევადარებთ ამავე ასაკის დრეიფერის მცენარეებს, რომლებმაც გამოიღო საშუალოდ 4.54 ფუნტი მცენარეზე. ოთხი წლის მცენარეებზე 7.95 ფუნტი მცენარეზე, თუ შევადარებთ ამავე ასაკის დრეიფერის მცენარეებს, რომლებმაც გამოიღო საშუალოდ 4.29 ფუნტი მცენარეზე;

ზ. მოსავლის მექანიზირებული აღებისადმი ვარგისიანობა – კარგი;

თ. ყინვაგამძლეობა – დაახლოებით USDA ზონა 4, ჯიშის მიხედვით. გამოიცადა 6 USDA ზონამდე;

ი. გაგრილების მოთხოვნა – მინიმუმ 1000 საათი, ფარენჰეიტის შკალით 45 გრადუსზე დაბლა;

კ. ფოთლიანობა – კარგი;

ლ. განტოტების ხარისხი – დაბალი;

მ. ფესვის ლპობის მიმართ მედეგობა/მიდრეკილება (ფიტოფორას კარგი ამტანობა საველე დაკვირვებების და მართვადი ინოკულაციის ცდის მიხედვით, რომლებიც ჩატარდა ორეგონის შტატის უნივერსიტეში ჯონ იოს მიერ;

ნ. ღეროების ნეკროზის მიმართ მედეგობა/მიდრეკილება (Botryosphaeria sp.) – არ არის აღნიშნული;

ო. ტოტების გახმობის (Phomopsis vaccinii) მიმართ მედეგობა/მიდრეკილება – არ არის აღნიშნული;

პ. ნაცრისფერი სიდამპლის (Botrytis cinerea) მიმართ მედეგობა/მიდრეკილება – კარგი, ამტანობა ნაცრისფერი სიდამპლის მიმართ საველე დაკვირვებების მიხედვით;

ჟ. ფოთლების ლაქიანობის (Septoria spp.) მიმართ მედეგობა/მიდრეკილება – არ არის აღნიშნული რაიმე მიდრეკილება;

რ. ფოთლის ჟანგას (Naohidemyces vaccinii) მიმართ მედეგობა/მიდრეკილება – კარგი, ამტანობა ფოთლის ჟანგას მიმართ საველე დაკვირვებების მიხედვით;

ს. რეზისტენტობა კოკრის ტკიპების (Acalatus vaccinii) მიმართ მედეგობა/მიდრეკილება – არ არის აღნიშნული.

**ღერო**

**ძირითადი:**

ა. მორჩების მოშორებისადმი მიდრეკილება – დაბალი;

ბ. მოწიფული ღეროს ფერი – პანტონის ფერები Raw Umber 17-1422, Shell 13-1405 და Mineral Red 17-1537;

გ. მოწიფული ღეროს სიგრძე – საშუალოდ 19 დუიმი;

დ. მოწიფული ღეროს სიგანე – საშუალოდ 1.5 სმ;

ე. ქერქის აგებულება – უსწორმასწორო;

ვ. ფერი ახალ დუყებზე – პანტონის ფერები Red Earth 18-1444 და Green Banana 14-0434 -დან Celery Green 13-0532 -კენ;

ზ. ახალი ხის ზედაპირის აგებულება – გლუვი;

თ. კვანძებს შორის სიგრძე ძლიერ ახალ დუყებზე – საშუალოდ 17.85 მმ;

ი. კვირტების საშუალო რაოდენობა ნაყოფზე გვერდიდან – 7;

**ფოთლები**
**ძირითადი:**

ა. ფოთლის კვირტის გამოსვლის დაწყების დრო – ლოუელში, ორეგონი, გვიანი მარტიდან ადრეულ აპრილამდე.;

ბ. ფოთლების ფერი (ზედა ზედაპირი) – ა. მომწიფებული ფოთლები Pantone Chive 19-0323. ბ. ახალი ფოთლები Pantone Sierra 18-1239 და Deep Olive 18-0527;

გ. ფოთლების ფერი (ქვედა ზედაპირი) – პანტონის ფერი Epsom 17-0324;

დ. ფოთლების განლაგება – მონაცვლეობით;

ე. ფოთლების ფორმა – ელიფსური;

ვ. ფოთლების კიდეები – მთლიანი;

ზ. ფოთლის ძარღვები – ფრთისებრ-ფოთლოვანი;

თ. ფოთლის წვეროები – მახვილი;

ი. ფოთლის ძირები – იცვლება მრგვალიდან მახვილამდე;

კ. ფოთლების სიგრძე – საშუალოდ 60.03 მმ; ლ. ფოთლების სიგანე – საშუალოდ 33.4 მმ;

მ. ფოთლის სიგრძის და სიგანის ტანაფარდობა – 1.80 (ფართე ფოთლები);

ნ. ფოთლის ნექტარი – არ არსებობს;

ო. ღინღლი ზედა მხარეზე – არ არსებობს;

პ. ღინღლი ქვედა მხარეზე – არ არსებობს;

ჟ. განივი კვეთის პროფილი – ბრტყელი ან ქვემოთკენ ხვეული;

რ. გრძივი პროფილი – ოდნავ ტალღისებრი;

ს. ორიენტაცია – Ascending (acute). აღმავალი (მახვილი);

ტ. ფოთლის ფერი – პანტონის Barn Red 18-1531, პანტონის Catchup 18-1449, პანტონის Burgundy 19-1617, პანტონის Spectra Yellow 14-0957.

**ფოთლის ყუნწები:**

ა. სიგრძე – საშუალოდ 2.65 მმ;

ბ. სიგანე – საშუალოდ 1.75 მმ;

გ. ფერი – პანტონის ფერი Green Olive 17-0535;

დ. ზედაპირის აგებულება – გლუვი.

**ყვავილები**
**ძირითადი:**

ა. აყვავილების დაწყების დრო – დაახლოებით აპრილის შუა რიცხვებში ლოუელში, ორეგონი.;

ბ. 50% აყვავილების დრო – დაახლოებით გვიანი აპრილი ლოუელში, ორეგონი;

გ. ყვავილის ფორმა – ცილინდრულიდან ოდნავ დოქისებრამდე;

დ. ყვავილის სურნელი – სუსტად გამოხატული, ტკბილი;

ე. მოუმწიფებელი ყვავილის ფერი – პანტონის ფერები Holly Berry 17-1633, Snow White 11-0602 და Mellow Green 12-0426;

ვ. ყვავილის მტვრის დალაქავება – დაახლოებით 95% დალაქავება 2%-იანი აცეტოკარმინის საღებავით;

ზ. თვითთავსებადობა – ძალიან კარგი. დაახლოებით 73% თვითდამტვერვადის ყვავილი აღწევდა მომწიფებას თვითთავსებადობის ცდებში, თუ შევადარებთ 80% ყვავილს, რომლებმაც მომწიფებას მიაღწიეს ჯიშით 'Liberty' დამტვერვის დროს.

**გვირგვინი:**

ა. ფერი – პანტონის ფერი Snow White 11-0602;

ბ. Length. ბ. სიგრძე – საშუალოდ 9.7 მმ;

სიგანე – საშუალოდ 9.3 მმ;

დ. აპერტურის სიგანე.– Average 5.24 მმ;

ე. გვირგვინის ანტოციანით შეფერვა აყვავილების დროს – დაბალი;

ვ. გვირგვინის შვერილები – არსებობს მაგრამ არცთუ ისე შესამჩნევად;

ზ. დინგის შვერილი – საშუალოდ 0.2 მმ გვირგვინის კიდის დაბლა.

**ყვავილედი:**

ა. სიგრძე – ცვლადი, საშუალოდ 54.91 მმ;

ბ. დიამეტრი – ცვლადი, საშუალოდ 19.35 მმ;

გ. ყვავილის ყუნწის სიგრძე – ცვლადი, საშუალოდ 35.56 მმ;

დ. ყვავილის ყუნწის ზედაპირის სტრუქტურა – გლუვი;

ე. ყვავილის ყუნწის ფერი – პანტონის ფერები Mellow Green 12-0426 და Mineral Red 17-1537;

ვ. ყვავილის ყუნწის სიგრძე – საშუალოდ 9.65 მმ;

ზ. ყვავილის ყუნწის ზედაპირის სტრუქტურა – გლუვი;

თ. ყვავილის ყუნწის ფერი – პანტონის ფერი Peridot 17-0336;

ი. ყვავილების რაოდენობა ერთ კლასტერში – საშუალოდ 10-13;

კ. ყვავილების კლასტერის სიმკვრივე – ზომიერიდან დიდამდე.

**ჯამი (ფოთლებით):**

ა. დიამეტრი – საშუალოდ 5.8 მმ;

ბ. ფერი (ფოთლები) – პანტონის ფერები Peridot 17-0336 და Water Cress 17-0220;

გ. ჯამის ზედაპირი – გლუვი.

**მტვრიანა:**

ა. სიგრძე – მონაცემები არ არის მოპოვებული;

ბ. რაოდენობა ერთ ყვავილზე – 10;

გ. ბოჭკოს ფერი – მონაცემები არ არის მოპოვებული.

**ბუტკო:**

ა. სიგრძე – 8.18 მმ;

ბ. ნასკვის ფერი (გარედან) – პანტონის ფერი Peridot 17-0336;

გ. ბუტკო: სიგრძე – მონაცემები არ არის მოპოვებული.

**სამტვრე:**

ა. სიგრძე – 5.08 მმ;

ბ. რაოდენობა – 10;

გ. ფერი – პანტონის ფერები Adobe 17-1340 და Autumn Leaf 17-1347.

**ყვავილის მტვერი:**

ა. სიუხვე – ზომიერი;

ბ. ფერი – პანტონის ფერი Pale Banana 12-0824.

**ნაყოფი**

**ძირითადი:**

ა. ნაყოფის დამწიფების დრო – დაახლოებით ადრე ივლისიდან გვიან ივლისამდე ლოუელში, ორეგონი;

ბ. 50%-იანი დამწიფების დრო – დაახლოებით შუა ივლისი ლოუელში, ორეგონი;

გ. ნაყოფის განვითარების პერიოდი – საშუალოდ 17 დღე ლოუელში, ორეგონი;

დ. მოსავლის აღების საშუალო თარიღი – 19 ივლისი;

ე. ბოლო მოკრეფის საშუალო თარიღი – 6 აგვისტო;

ვ. კლასტერის სიმკვრივე – ზომიერიდან დიდამდე;

ზ. კენკრები ერთ კლასტერზე – დაახლოებით 7-12 კენკრა კლასტერზე;

თ. მკვახე ნაყოფის ფერი – პანტონის ფერები Oasis 16-0540 და Maroon 18-1619;

ი. მწიფე ნაყოფის ფერი – პანტონის ფერები Dapple Gray 16-3907 და Crown Blue 19-3926;

კ. კენკრის კანის ფერი გაპრიალების შემდეგ – პანტონის ფერი Shale 19-3903;

ლ. კენკრის ზედაპირის ცვილის სიუხვე – ზომიერად უხვი და ზომიერად მდგრადი;

მ. კენკრის რბილობის ფერი – პანტონის ფერი Winter White 11-0507;

ნ. კენკრის წონა – საშუალოდ 2.5 გ კენკრაზე, 5 წელი საშუალოდ 2011-2015 წლებიდან, თუ შევადარებთ დრაიფერის ნაყოფს იმავე ასაკის მცენარეებიდან, რომელთა ზომა იყო საშუალოდ 1.96 გ;

ო. კენკრის სიმაღლე ჯამიდან ნაწიბურამდე – საშუალოდ 13.54 მმ;

პ. კენკრის დიამეტრი – საშუალოდ 19.92 მმ;

ჟ. ჯამის აპერტურა – საშუალოდ 5.38 მმ;

რ. ჯამის სიღრმე – საშუალოდ 1.83 მმ;

ს. ყუნწის სიგრძე – საშუალოდ 10.42 მმ;

ტ. ყუნწის ზედაპირის სტრუქტურა – გლუვი;

უ. კენკრის მოწყვეტის ძალა – ადვილი;

ფ. კენკრის ფორმა – ელიფსოიდიდან მრგვალამდე;

ქ. ნაყოფის ღეროს ნაწიბური – მცირე და მშრალი. საშუალო დიამეტრი 1.41 მმ;

ღ. კენკრის სურნელი – დაბალანსებული;

ყ. სიტკბო დამწიფებისას – ზომიერიდან ძლიერამდე;

შ. სიმაგრე დამწიფებისას – ზომიერად მაგარი;

ჩ. მჟავიანობა დამწიფებისას – დაბალი;

აა. შენახვის ხარისხი – ძალიან კარგი;

ბბ. გამოყენებები – ნედლი პროდუქტების ბაზრის ხილის წარმოება, მექანიზირებული წესით მოსავლის აღების სწრაფი გაყინვის ხილის წარმოება.

**თესლი**

**ძირითადი:**

ა. თესლის სიუხვე ნაყოფში – საშუალოდ 30 თესლი ერთ კენკრაში;

ბ. თესლის ფერი – პანტონის ფერი Carob Brown 18-1229;

გ. თესლის მშრალი წონა – დაახლოებით 0.5 მგ ერთ თესლზე;

დ. თესლის სიგრძე

## მშობელი და და კომერციული ჯიშების შედარება

| **მსგავსი ჯიშის დასახელება** | **მახასიათებელი შედარებისთვის** | **მსგავსი ჯიშის ექსპრესიის მდგომარეობა** | **კანდიდატი ჯიშის (ZF08-070) ექსპრესიის მდგომარეობა** |
|---|---|---|---|
| ლეგასი | ნაყოფის ზომა | 1,86 გ (დიდი) | 2,50 გ (ძალზე დიდი) |
| დრეიფერი | ნაყოფის ზომა | 1,96 გ (დიდი) | 2,50 გ (ძალზე დიდი) |
| დრეიფერი | მარადმწვანე/ფოთლის მედეგობა ცვენისადმი | სრულიად ცვენადი ლოუელში, ან | ნაწილობრივ მარადმწვანე ლოუელში, ან |
| დრეიფერი | მცენარის სიმძლავრე | დაბალიდან საშუალომდე | მაღალი |
| ლეგასი | ფოთლის კიდე: | ბრტყელი | ტალღოვანი |
| დრეიფერი | ნაყოფის ფორმა | ელიფსური | ოდნავ ელიფსური |

გამოსახულება 1

გამოსახულება 2




გამოსახულება 3




გამოსახულება 4

გამოსახულება 5

გამოსახულება 6

გამოსახულება 7




გამოსახულება 8

# რეგისტრირებული მცენარის ახალი ჯიში

| | |
|---|---|
| **ჯიშის კატეგორია:** | მცენარე |
| **რეგისტრაციის ნომერი:** | P 2018 228 B |
| **მეორე გამოქვეყნების თარიღი:** | 2018 11 20 №2 |
| **რეგისტრაციის თარიღი:** | 2018 11 13 |
| **განაცხადის გამოქვეყნების ნომერი:** | P 2018 240 A |
| **პირველი გამოქვეყნების თარიღი:** | 2018 07 04 №1 |
| **განაცხადის ნომერი:** | P 2017 240 |
| **განაცხადის წარდგენის თარიღი:** | 2017 12 27 |

**განსაკუთრებული უფლების მფლობელი:**
ბერრიუორლდ პლას ლიმიტედ
ტერნფორდ ფლეის, გრეიტ ქემბრიჯ როუდ ტერნფორდ, ბროქსბურნი, EN10 6NH, ჰარტფორდშირი (GB)

**პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:**
ბერრიუორლდ პლას ლიმიტედ (GB)

**ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:** ჟოლო/Rubus idaeus L.

**ჯიშის დასახელება:** საფირი

**ჯიშის მოკლე დახასიათება:**
ჯიში, სახელად „საფირი“ არის ახალი და განსხვავებული ფლორიკანი მსხმოიარე წითელი ჟოლოს ჯიშისა, რომელიც ხასიათდება დიდი ზომის, მიმზიდველი, არომატული და მდგრადი ნაყოფით და რომელსაც განსაკუთრებული სამომხმარებლო მახასიათებლები გააჩნია.

# REGISTERED NEW PLANT VARIETY

| | |
|---|---|
| **CATEGORY OF THE APPLICATION:** | PLANT |
| **NUMBER OF REGISTRATION:** | P 2018 228 B |
| **DATE OF THE SECOND PUBLICATION:** | 2018 11 20 №2 |
| **DATE OF REGISTRATION:** | 2018 11 13 |
| **NUMBER OF PUBLICATION OF THE APPLICATION:** | P 2018 240 A |
| **DATE OF THE FIRST PUBLICATION:** | 2018 07 04 №1 |
| **NUMBER OF THE APPLICATION:** | P 2017 240 |
| **DATE OF FILING OF THE APPLICATION:** | 2017 12 27 |

**TITLE HOLDER:**
Berryworld Plus Limited
Turnford Place, Great Cambridge Road Turnford, Broxbourne, EN10 6NH,
Hartfordshire (GB)

**PERSON WHO BRED, OR DISCOVERED AND DEVELOPED THE VARIETY:**
Berryworld Plus Limited (GB)

**COMMON NAME AND LATIN NAME OF THE GENUS AND SPECIES:**
Raspberry/Rubus idaeus L.

**VARIETY DENOMINATION:** SAPPHIRE

**BRIEF DESCRIPTION OF THE VARIETY:**
The variety named "Sapphire" is a new and distinct floricane fruiting red raspberry cultivar, which is capable of producing large, attractive, flavourful and firm fruit which has exceptional consumer appeal characteristics.

# ჯ ი შ ი ს ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა

**I. ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:** ჟოლო/Rubus idaeus L.

**II. განმცხადებელი:**
ბერრიუორლდ პლას ლიმიტედ
ტერნფორდ ფლეის, გრეიტ ქემბრიჯ როუდ ტერნფორდ, ბროქსბურნი, EN10 6NH, ჰარტფორდშირი (GB)

**პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:**
ბერრიუორლდ პლას ლიმიტედ (GB)

**III. ჯიშის დახასიათება:** საფირი

**IV. ინფორმაცია ჯიშის შეჯვარების სქემის და გამრავლების შესახებ:**

4.1 შეჯვარების სქემა

ჯიში მიღებულია:
4.1.1 შეჯვარებით

(ა) კონტროლირებადი შეჯვარება [X]
(მიუთითეთ მშობელი ჯიშები)
(ბ) ნაწილობრივ უცნობი შეჯვარება [ ]
(მიუთითეთ ცნობილი მშობელი ჯიშები)
(გ) სრულიად უცნობი შეჯვარება [ ]

4.1.2 მუტაცია [ ]
(მიუთითეთ მშობელი ჯიშები)

4.1.3 გამოვლენა [ ]
(მიუთითეთ სად, როდის და როგორ განვითარდა)

4.1.4 სხვა [ ]
(მიუთითეთ დეტალურად)

4.2 ჯიშის გამრავლების მეთოდი

4.2.1 ვეგეტატიური გამრავლება
(ა) in vitro გამრავლება [X]
(ბ) სხვა (მაგ. ფოთლებით, ყუნწებით, მერქნის გადაჭრით) [X]
(მიუთითეთ მეთოდი) ფესვის გადაჭრით

4.2.2 სხვა [ ]
(მიუთითეთ დეტალები)

4.3 დასნებოვნების სტატუსი

4.3.1 ჯიში თავისუფალია საყოველთაოდ ცნობილი ვირუსებისაგან [ ]
(მიუთითეთ რომელი ვირუსებისაგან)

4.3.2 მცენარეულმა მასალამ გაიარა ტესტი ვირუსზე [ ]

4.3.3 ვირუს სტატუსი უცნობია [X]

**V. ჯიშის ნიშან-თვისებები** (რიცხვები ფრჩხილებში შეესაბამება გაიდლაინში აღნიშნულ მახასიათებელს, მონიშნეთ, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება)

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| | **ნიშან-თვისება** | **ინდექსი** | **გამოხატვის ხარისხი** | **ეტალონ-ჯიში** |
| 5.1. (2) | მცენარე: სეზონური ლერწმის ნაკადის რაოდენობა | 3[ ] | მცირე | Rubaca, Rucami |
| | | 5[X] | საშუალო | Glen Ample, Multiraspa Rumiloba |
| | | 7[ ] | ბევრი | Glen Clova, Skeena |
| | | 9[ ] | ძალიან ბევრი | Sumner |
| 5.2. (3) | ძალიან ნორჩი ყლორტი: წვეროს ანტოციანური შეფერილობა სწრაფი ზრდისას | 1[ ] | არ არის | Gelbe Antwerpener |
| | | 9[X] | არის | Malling promise |
| 5.3. (11) | ჯიშები, რომლებიც ნაყოფს ისხავს წინა სეზონის ტოტებზე ზაფხულში მიძინებულ მდგომარეობაში: ფერი | 1[ ] | მოყავისფრო რუხი | Malling Leo, Schnemann |
| | | 2[X] | რუხი ყავისფერი | Malling Orion |
| | | 3[ ] | ყავისფერი | Caliber, Glen Cova |
| | | 4[ ] | მეწამული ყავისფერი | Festival, malling Landmark |
| | | 5[ ] | მოყავისფრო მეწამული | Royalty, titan |
| 5.4. (12) | ღერძი: | 1[ ] | არ არის | Glen Moy |
| | | 9[X] | არის | Malling Promise |
| 5.5. (32) | ნაყოფი: შეფარდება სიგრძე/სიგანე | 3[ ] | მცირე | Caber, Zefa 2 |
| | | 5[X] | საშუალო | Glen Clova, Rafzeter |
| | | 7[ ] | დიდი | Malling Delight, Tulameen |
| 5. 6. (33) | ნაყოფი: ძირითადი ფორმა გვერდ-ხედში | 1[ ] | მრგვალი | Malling Landmark, |
| | | 2[ ] | მრგვალი კონუსური | Ontario Malling |
| | | 3[X] | კონუსური | Orion, Meeker |
| | | 4[ ] | ტრაპეციული | Annamaria, Rafzmach Gradina |
| 5.7. (35) | ნაყოფი: ფერი | 1[ ] | ყვითელი | Gelbe Antwwepener, Golden Bliss |
| | | 2[ ] | ნარინჯისფერი | Orange Marie |
| | | 3[ ] | ღია წითელი | Malling Delight |
| | | 4[X] | საშუალო წითელი | Glen Clova, Malling Orion |
| | | 5[ ] | მუქი წითელი | Gigant,Schonemann, |
| | | 6[ ] | მეწამული | Zefa 2 Royalty |
| | | 7[ ] | მუქი მეწამული | Deep Purple |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| 5.8. (39) | ნაყოფი: მსხმოიარობის ძირითადი ტიპი | 1[X] | მხოლოდ წინა წლის ტოტზე ზაფხულში. | Malling Promise |
| | | 2[ ] | წინა წლის ტოტზე ზაფხულში და მიმდინარე წლის ტოტზე შემოდგომაზე. | Isabel |
| | | 3[ ] | მხოლოდ მიმდინარე წლის ტოტზე შემოდგომაზე. | Autumn Bliss |
| 5.9. (44) | ჯიშები, რომლებიც ნაყოფს ისხამს წინა წლის ტოტზე ზაფ-ხულში. | 1[ ] | ძალიან ადრე | Vene |
| | | 3[ ] | ადრე | Glen Clova,Glen Moy Rafmach |
| | | 5[ ] | საშუალო | Rusilva,Willamette |
| | | 7[X] | გვიან | Malling Landmark, |
| | | 9[ ] | ძალიან გვიან | Schonemann Malling Leo |
| 5.10 (45) | ჯიშები, რომლებიც ნაყოფს ისხამს წინა წლის ტოტზე შემოდ-გომაზე. მიმდინარე წლის ტოტებზე ნაყოფის დამწიფების დრო | 1[ ] | ძალიან ადრე | Ariadne |
| | | 3[ ] | ადრე | Polana |
| | | 5[ ] | საშუალო | Orange Marie, Watson |
| | | 7[X] | გვიან | Korbfuller |
| | | 9[ ] | ძალიან გვიან | Baronne de Wavre |

## VI. მსგავსი ჯიშები და მათგან განსხვავებები

| თქვენი კანდიდატი ჯიშის მსგავსი სახელწოდებები | მახასიათებლები, რითაც თქვენი ჯიში განსხვავდება მსგავსი ჯიშისგან | აღწერეთ მახასიათებლების გამოხატულება მსგავს ჯიშებში | აღწერეთ მახასიათებლების გამოხატულება კანდიდატი ჯიშებისთვის |
|---|---|---|---|
| (მაგალითი) Tulameen | ნაყოფი: ფერი | მუქი წითელი | მეწამული |
| | მიმდინარე სეზონის | ბევრი | საშუალო |
| | ნაყოფის ფორმა | კონუსური | ფართო კონუსური |
| | ნაყოფის სიმწიფის დრო | საშუალო | გვიან |
| | ნაყოფის პროპორცია | საშუალო-დიდი | საშუალო |

## VII. დამატებითი ინფორმაცია ჯიშის გამოცდისთვის

7.1 პუნქტებში 5 და 6 მოყვანილი ინფორმაციის გარდა არის თუ არა დამატებითი მახასიათებლები ჯიშის განსასხვავებლად?

დიახ [X] არა [ ]

(თუ დიახ, მიუთითეთ დეტალები) ახალი ჯიშის „საფირი“ ლატერალები უფრო მოკლეა ვიდრე ჯიშისა „ტულამენი“ „საფირის“ ნაყოფი უფრო მუქი და მნიშვნელოვნად უფრო მაგარია, ვიდრე ჟოლოს ჯიშის „ტულამენი“ და გამოირჩევა შენახვის ხანგრძლივი ვადით.

7.2 სპეციალური პირობები ჯიშის შესამოწმებლად

7.2.1 არის თუ არა განსაკუთრებული პირობები ჯიშის ზრდისთვის და გამოცდის ჩასატარებლად?

დიახ [ ] არა [X]

7.2.2 (თუ დიახ, მიუთითეთ დეტალები):

7.3. სხვა ინფორმაცია

## VIII. ნებართვა

მოითხოვს თუ არა ეს ჯიში წინასწარ ნებართვას გამოშვებაზე გარემოს დაცვის, ადამიანთა და ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის თანახმად?

დიახ [ ] არა [X]

აღებულია თუ არა ეს ნებართვა?

დიახ [ ] არა [X]

თუ პასუხი (b)-ზე დადებითია, დაურთეთ ნებართვის ასლი.

**IX.** ვადასტურებ, რომ ბლანკში მოყვანილი ინფორმაცია სწორია:

განმცხადებელი I ბერიუორლდ პლას ლიმიტედ

BDB-12VF

BDB-12VF

BDB-12vf
KF01109
CONNECT
shatter resistant


RED
GROUP
45
A
B
BDB-12vf

RED-PURPLE
GROUP
183
A
B
BDB-12vf
YELLOW-GREEN
GROUP
144
A
B

BDB-12vf
YELLOW-GREEN 191
A
B
C
D

# მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალური ბიულეტენი

# OFFICIAL BULLETIN FOR PROTECTION OF NEW PLANT VARIETIES AND ANIMAL BREEDS

## № 2(55)

ბიულეტენის ელექტრონული ვერსიის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ვებგვერდზე.

Electronic version of the bulletin is available on the website of the National Intellectual Property Center of Georgia “Sakpatenti.

შენიშვნა
NOTICE

ბიულეტენში გამოქვეყნებული ობიექტების ზუსტი გამოსახულებები იხილეთ საქპატენტის ვებგვერდზე განთავსებულ ელექტრონულ ვერსიაში.

Exact images of the published objects are available in the electronic version on the website of Sakpatenti.


| | |
|---|---|
| პასუხისმგებელი გამოცემაზე:<br>RESPONSIBLE FOR PUBLICATION: | ნ. ფანცხავა<br>N. Pantskhava |
| მთავარი რედაქტორი:<br>EDITOR-IN-CHIEF: | ნ. ბებრიშვილი<br>N. Bebrishvili |
| დამკაბადონებელი:<br>MAKER-UP: | ქ. სვანიძე<br>K. Svanidze |
| პოლიგრაფიული ჯგუფი:<br>POLYGRAPHIC GROUP: | მ. მეჩიტიშვილი<br>M. Mechitishvili |
| | ი. გოგოლაშვილი<br>I. Gogolashvili |
| | ლ. დოლიძე<br>L. Dolidze |

ხელმოწერილია გამოსაცემად: 2018 11 18
Signed for Publication on:

ტირაჟი: 10
Print Run:

შეკვეთა №2
Order



სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ფაქსი: (+995 32) 2252531
0179, თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4; ტელ.: (+995 32) 2252533
info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge